სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია

დანართი № 6

მატჩის ოფიციალური პირები.

1. მატჩის ოფიციალური პირები თამაშის მთლიანობის უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული ნაწილია, მათ გარეშე შეუძლებელია სპორტული შეჯიბრების ლეგიტიმურობა. სრკ, როგორც მსოფლიო რაგბის წევრი კავშირი, გმობს და დაუშვებლად მიაჩნია ნებისმიერი საჯარო კრიტიკა (მათ შორის სოციალური ქსელებისა და მედია საშუალებებით) მატჩის ოფიციალურ პირთა დანიშვნასთან, მათი საქმიანობის ხარისხთან და მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

2. სრკ-ს იურიდიქციის ფარგლებში გამართულ ყველა მატჩში, მსაჯის, როგორც მატჩის დროს თამაშის წესების მთლიანობის დაცვის ერთადერთი განმსჯელის გადაწყვეტილება ხელშეუხებელია. მსაჯის გადაწყვეტილებები მოედანზე და მათი გავლენა თამაშის შედეგზე საბოლოო და სავალდებულოა მატჩის მონაწილე მხარეებისთვის.

3. **მატჩის ოფიციალურ პირთა და მათი ზედამხედველის(მწვრთნელის) გარდა არავის არ აქვს უფლება მიმართოს მატჩის ოფიცალურ პირს თამაშისას, შესვენებისას და მატჩის შემდეგ, შევიდეს მათ გასახდელ ოთახში რაიმე თამაშთან დაკავშირებული საკითხის განსახილველად თუ თავად მატჩის ოფიციალური პირი არ დართავს ამის ნებას.**

4. მატჩის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრება და შეფასება მატჩის ოფიციალ პირთა თამაშის მართვის ხარისხზე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე და წერილობითი სახით და თანდართული ვიდეომასალით მიმართონ სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურს.

5. ზემოთ ჩამოთვლილი წესების დარღვევა შეიძლება გახდეს სრკ-ს სადისციპლინო ტრიბუნალის განხილვის საგანი.